# კალმედორონი (გლობულები)

ძველი დასახელება: **Avena sativa**

**უძილობა, ნევროზი.**

შემადგენლობა: 10 გ შეიცავს: აქტიური სუბსტანციები: ჩვეულებრივი შვრიის (Avena sativa) ნაყენი 2b Ø 0,5 გ / სვიის (Humulus lupulus) ნაყენი Ø 0,024 გ / პასიფლორას (Passiflora incarnata) ნაყენი Ø 0,15 გ / კატაბალახას (Valeriana) სპირტიანი ნახარში Ø 0,3 გ / მოხალული ყავის (Coffea tosta) სპირტიანი ნახარში D60 0,1 გ.
სხვა ინგრედიენტი: საქაროზა.

მიღების წესი და დოზირება: უძილობისას მიიღება ერთჯერადი დოზით საღამოს, ძილის წინ. ნევროზის დროს იგივე დოზა მიიღება დღეში ერთხელ. ერთჯერადი დოზა: 1 წლამდე ასაკის ჩვილები – 5 გლობულა; ბავშვები 1 - დან 5 წლამდე – 10 გლობულა; ბავშვები 6 წლის ასაკს ზევით – 15 გლობულა.

უკუჩვენებები: ზემგრძნობელობა შემადგენლობაში შემავალი რომელიმე კომპონენტის მიმართ.
ურთიერთქმედება სხვა სამკურნალო საშუალებებთან: არ არის დაფიქსირებული.



სიფრთხილის ზომები:
გარკვეული შაქრების აუტანლობის შემთხვევაში საქაროზას შემცველობის გამო მიმართეთ ექიმს.
ორსულობისა და ლაქტაციის პერიოდში სამკურნალო საშუალება გამოიყენება ექიმთან კონსულტაციის შემდეგ.
არ გამოიყენოთ პრეპარატი შეფუთვაზე მითითებული ვარგისიანობის ვადის გასვლის შემდეგ.
დამატებითი ცნობები: კალმედორონის გლობულები შეიცავს შვრიას, სვიას, პასიფლორასა და კატაბალახას კონცენტრირებულ ნაყენს. ამიტომ ბურთულები ღია მოყავისფრო ფერისაა და აქვს კატაბალახას ტიპიური სუნი. შესაძლებელია ისინი ერთმანეთს შეეწებონ, მაგრამ ფლაკონის შერხევით იოლად ცილდებიან ერთმანეთს.

WELEDA
1921 წლიდან

შვრიის კომპოზიციაში შემავალი ხუთივე კომპონენტი დამამშვიდებლად მოქმედებს, ნაწილობრივ ხსნის სპაზმებს და ხელს უწყობს ძილს. შვრია სახამებლის, ვიტამინების, მინერალების და მიკროელემენტების გარდა განსაკუთრებით დიდი რაოდენობით შეიცავს ცილას და ცხიმებს. ნაყენი მზადდება მოყვავილე მცენარის ბალახისაგან, რომელიც ნივთიერებათა ცვლის და რითმული სისტემების გაძლიერებით ხელს უწყობს დღე-ღამის დარღვეული რითმის აღდგენას.
ღვია დიდი რაოდენობით შეიცავს მწარეებს და ააქტიურებს საჭმლის მომნელებელი წვენების სეკრეციას.
პასიფლორას დამამშვიდებელი მოქმედება აქვს, ხსნის დაძაბულობას და ხელს უწყობს ძილს.
კატაბალახაში შემავალი ეთერზეთები და აქტიური ნივთიერებები ცნობილია როგორც დამამშვიდებელი და საძილე საშუალებები.
მოხალული ყავა შედის მაღალი პოტენციით (D60) და ასეთი ფორმით ისიც დამამშვიდებელი ეფექტით ხასიათდება.

მწარმოებელი: "Weleda AG Heilmittelbetriebe". Mohlerstrasse 3-5, D-73503 Schwabisch Gmund, Germany;
წარმომადგენელი საქართველოში: შ.პ.ს "ნატურაფარმი". TEL 382128, გამსახურდიას № 45 თბილისი, საქართველო.
naturapharm@gol.ge weleda საქართველო

# ინფლუდორონი (გლობულები)

ძველი დასახელება: **Ferrum phosphoricum**

**გრიპოზული ინფექციები, სიცხით მიმდინარე გაციება და მათი პროფილაქტიკა.**

შემადგენლობა: 10 გ შეიცავს: აქტიური სუბსტანციები: ტილჭირის (Aconitum napellus) ხსნარი D1 0,01 გ / ლეშურას (Bryonia) ხსნარი D1 0,06 გ / ევკალიპტის (Eucalyptus) ნაყენი Ø 0,05 გ / ვარდკანაფას (Eupatorium perfoliatum) ხსნარი D1 0,04 გ / რკინის ფოსფატის (Ferrum phosphoricum) ხსნარი D6 0,1 გ / საბადილას (Sabadilla) ნაყენი Ø 0,01 გ.
სხვა ინგრედიენტი: საქაროზა.




მიღების წესი და დოზირება: გასაწუწნად პირის ღრუში, ენის ქვეშ. 1 წლამდე ასაკის ჩვილები: 3 -5 გლობულა 3 - 4 ჯერ დღეში; 1- დან 5 წლამდე ასაკის ბავშვები: 5 -10 გლობულა 3 - 4 ჯერ დღეში; 6 - დან 11 წლამდე ასაკის ბავშვები: 8 - 10 გლობულა ყოველ 1 - 2 საათში; მოზარდები 12 წელს ზემოთ: 15 გლობულა ყოველ 1 - 2 საათში.

სიფრთხილის ზომები: გარკვეული შაქრების მიმართ აუტანლობის შემთხვევაში საქაროზას შემცველობის გამო მიმართეთ ექიმს.
ორსულობისა და ლაქტაციის პერიოდში სამკურნალო საშუალება გამოიყენება ექიმთან კონსულტაციის შემდეგ.
თუ ტემპერატურა 3 დღეზე მეტ ხანს გრძელდება ან 39° C აღემატება მიმართეთ ექიმს.

ინფლუდორონი - ფერუმ ფოსფორიკუმის კომპოზიცია აჩქარებს გამოჯანმრთელების პროცესს. ამსუბუქებს გაციების მწვავე სიმპტომებს და აძლიერებს იმუნურ სისტემას.
ფოსფორის აღმგზნები მოქმედება ფოსფორისა და ფერუმის ნაერთში შერბილებულია, ამიტომ ფერუმ ფოსფორიკუმის კომპოზიცია განსაკუთრებით რეკომენდებულია მგძნობიარე პაციენტებისა და ბავშვებისათვის.

- ტილჭირი (Aconitum napellis) სიცხის დამწევი საშუალებაა, ამსუბუქებს ნევრალგიურ ტკივილს, რომლებიც გრიპოზულ ინფექციებს თან ახლავს („ყველაფერი მამტვრევს“) და არეგულირებს გულის ცემის სიხშირეს.
- ლეშურა (Bryonia cretica) აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას და სითხის რაოდენობას ქსოვილებში.
- ევკალიპტი (Eucaliptus globulus) აუმჯობესებს სუნთქვას, აძლიერებს სისხლით მომარაგებას და ხსნის დაძაბულობას ლორწოვან ქსოვილებში.
- საბადილას თესლი (Sabadilla officinalis) აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას და ამცირებს სურდოს.
- ვარდკანაფას (Eupatorium perfoliatum) ოფლმდენი, ნახველის გამათხელებელი და ამოსახველებელი საშუალება. ამცირებს კუნთების ტკივილს.
- პოტენცირებული ფოსფორი: ორგანიზმის თბორეგულაციის დასარეგულირებელი და სასუნთქი გზების ანთების საწინააღმდეგო საშუალება.

WELEDA
1921 წლიდან

მწარმოებელი: “Weleda AG Heilmittelbetriebe”. Mohlerstrasse 3-5, D-73503 Schwabisch Gmund, Germany;
წარმომადგენელი საქართველოში: შ.პ.ს “ნატურაფარმი”. TEL 382128, გამსახურდიას № 45 თბილისი, საქართველო.
naturapharm@gol.ge weleda საქართველო

## ველედა აუფბაუკალკი 1&2 **Aufbaukalk 1&2**

ჩვენება: კალციუმის ცვლის გააქტიურება; ჯანსაღი კბილებისა და ძვლების ჩამოყალიბების ხელშეწყობა ჩვილებსა და ბავშვებში, ძვლოვანი სტრუქტურის დაცვა ორსულობის დროს; ექსუდატიური დიათეზი.

დოზირება და მიღების წესი: დილით, უზმოზე ერთი დოზა აუფბაუკალკი 1 და საღამოს, ძილის წინ ერთი დოზა აუფბაუკალკი 2 დაიყარეთ ენაზე /შეგიძლიათ მიიღოთ მცირე ოდენობის წყალთან ერთად/. მკურნალობა გააგრძელეთ 6-8 კვირის მანძილზე. გაიმეორეთ კურსი 3-4 კვირის შემდეგ.

დოზის გადაჭარბების შემთხვევაში (მაგ. მთელი შიგთავსი) ლაქტოზის მიმართ ზემგრძნობელიობის მქონე პაციენტებს შეიძლება აღენიშნოთ კუჭ-ნაწლავის გაღიზიანება და ფაღარათი. ერთჯერადი დოზის განსასაზღვრად (დაახლოებით 0,2 გ) თავსახურის ზედა მხარეს განთავსებულია დოზატორი.

WELEDA

100

YEARS OF CONNECTING PEOPLE WITH NATURE




ველედა აუფბაუკალკი 1

**Aufbaukalk 1**

შემადგენლობა: 10გრ. შეიცავს:
აქტიური ნივთიერებები: აპატიტის ტრიტურაცია /კალციუმფტორფოსფატი/ D5 1გრ, კუკურბიტაპეპოფლოს /გოგრისყვავილების/ ტრიტურაცია D2 1 გრ.
დამხმარე ნივთიერება: ლაქტოზის მონოჰიდრატი.




ველედა აუფბაუკალკი 2

**Aufbaukalk** 2

შემადგენლობა: 10 გ შეიცავს:
აქტიური ნივთიერებები: კონხე /მოლუსკის ნიჟარის - ბუნებრივი კალციუმის კარბონატი, ფხვნილი/ 0,5 გ, ქვერკუს ეთანოლ დეკოქტუმ /მუხის ქერქის სპირტიანი მონახარშის ფხვნილი/ ტრიტურაცია D3 1გ.
დამხმარე ნივთიერება: ლაქტოზის მონოჰიდრატი

დილით - ვიღებთ კალციუმის ფტორფოსფატს ფორმირებისთვის. / აუფბაუკალკი 1/
საღამოს - ვიღებთ კალციუმის კარბონატს შენებისათვის /აუფბაუკალკი 2/

ძვლის შენების მოსაწესრიგებლად საკმარისი არ არის ორგანიზმს მივაწოდოთ კალციუმის მარილები. არანაკლებ მნიშვნელოვანია ორგანიზმის მიერ ნივთიერების შეთვისების უნარის გააქტიურება და მეორე, გასათვალისწინებელია რომ სხვადასხვა წყაროდან მიღებული კალციუმის კარბონატი არ არის თვისობრივად იდენტური. ველედა აუფბაუკალკის შემადგენლობაშ იშეტანილია კალციუმის სწორედ ის შენართები, რომელთა წარმოშობაც უშუალოდ სასიცოცხლო პროცესაბთან არის დაკავშირებული. ესენია მოლუსკის ნიჟარა და მუხის ქერქი. მათი მიღებისას, ჩვენ მხოლოდ კალციუმის დამატებით დოზას კი არ ვაწვდით ორგანიზმს, არამედ ვააქტიურებთ ასიმილაციასაც /შენებას/. ამასთან, მკურნალობის ეს პრინციპი ორგანიზმს უვარჯიშებს უნარს, რომ სწორად წარმართოს კალციუმის ცვლის ბუნებრივი პროცესი.

მწარმოებელი : "Weleda AG Heilmittelbetriebe".Mohlerstrasse 3-5, D-73503 Schwabisch Gmund, Germany
საქართველოში "ველედას" ექსკლუზიური ლიცენზიის მფლობელია შპს "ნატურაფარმი" თბილისი, გამსახურდიას გამზ. 45, ტელ./ფაქსი: 238 21 28